

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს  
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 51

ქ.თბილისი

2021 წლის 28 მაისი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 28 მაისს. დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

ონლაინ სხდომაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ედუარდ ნაჭყებია, ლაშა მაჭავარიანი, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის დ. ფულარიას ოქმი, მატჩის მთავარი მსაჯის გ. მშვენიერაძის წითელი ბარათის ოქმები, ამა წლის 26 მაისს, ჭაბუკთა “ზ“ ლიგის მატჩზე, ქუთაისის “აია“-სა და თბ „აკადემია“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

1. ქუთაისის „აია“-ს მორაგბე ლადო ტყაბლაძე - კონფლიქტის პროვოცირება (დამწყები).
2. თბ „აკადემია“-ს მორაგბე ერეკლე იორდანიშვილი - კონფლიქტის პროვოცირება (ამყოლი).

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7 პუნქტით და მიიღო შემდეგი

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

1. ქუთაისის „აია“-ს მორაგბე ლადო ტყაბლაძე დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით.
2. თბ „აკადემია“-ს მორაგბე ერეკლე იორდანიშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/